




ხაშურის მთაშუა



№8

27 ივლისი, ორშაბათი, 2015 წელი

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სესია

20 ივლისს, გაიმართა ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სესია. სესიას უძღვებოდა საკრებულოს თავმჯდომარე ვაჟა შუბითიძე.

სესიაზე, საკრებულოს დეპუტატებმა სულ ხუთი საკითხი განიხილეს. პირველი ოთხი, აუცილებლობიდან გამომდინარე, ეხებოდა საკრებულოს მიერ წინა დადგენილებებში ცვლილებების განხორციელებას, რასაც უმრავლესობამ მხარი დაუჭირა. სესიის ბოლოს გამოტანილი იყო საკითხი საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის გიორგი ცხადიაშვილის გადაყენების შესახებ. გიორგი ცხადიაშვილს, რომელიც „თავისუფალი დემოკრატების“ პარტიის წარმომადგენელია და რომელიც პარტიაც კოალიციიდან გავიდა და დღეს უკვე ოპოზიციურ ძალას წარმოადგენს, ბუნებრივია, აღარ ექნებოდა საკრებულოს უმრავლესობის ნდობის მანდატი და, აქედან გამომდინარე, ეს საკითხიც დადგა დღის წესრიგში.

საკრებულოს რეგლამენტის 75-ე მუხლის შესაბამისად, ფარული კენჭისყრის პროცედურის ჩატარება დაეგეგმა სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიას (თავმჯდომარე ომარ კაპანაძე). კომისიის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო ხმის მიცემის წესი. საკრებულოს წევრებმა ბიულეტენები შემოხაზეს სპეციალურ კაბინაში, რის შემდეგ ისინი მოთავსდა გამჭვირვალე ყუთში. ხმის დათვლის შემდეგ დაფიქსირდა შედეგი: გიორგი ცხადიაშვილის გადაყენების მომხრეა – 18 დეპუტატი, წინააღმდეგი – 9, ფარული კენჭისყრის შედეგად, ხმათა უმრავლესობით, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე გიორგი ცხადიაშვილი გადაყენებული იქნა თანამდებობიდან. ამით მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სესია დასრულდა.

მცირე მეწარმეობის ხელშეწყობისათვის

18 ივლისს, ხაშურის მუნიციპალიტეტის სუბ-ადმინისტრაციულ ერთეულში - ქვიშხეთში, ცხრამუხაში, ოსაურში, სცისსა და წროშში მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამის პრეზენტაცია გაიმართა. პროგრამა პრემიერ-მინისტრის მიერ ინიცირებული სახელმწიფო პროგრამის "აწარმოე საქართველოში" ფარგლებში ხორციელდება. მოსახლეობას შეხვდა მიკრო და მცირე მეწარმეობის პროგრამის კოორდინატორი შიდა ქართლში გელა ნასყიდაშვილი. შეხვედრების ორგანიზება ხაშურის მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით განხორციელდა. მოსახლეობასთან შეხვედრებისას დაინტერესებულ პირებს შესაძლებლობა ჰქონდათ დაესვათ შეკითხვები და გაერკვი-



ათ აღნიშნულ პროგრამაში მონაწილეობის დეტალები. პროგრამის ფარგლებში ერთ მეწარმე სუბიექტზე დაფინანსების მაქსიმალური თანხა 5000 ლარია, ორი მეწარმე სუბიექტის გაერთიანების შემთხვევაში თანხა შეადგენს არაუმეტეს 10000 ლარს, სამი მეწარმე სუბიექტის გაერთიანებისას კი - საერთო თანხა არ გადააჭარბებს 15000 ლარს. ბენეფიციარებს მოეთხოვებათ გადაცემული თანხის მინიმუმ 20%-იანი თანხობრივი თანამონაწილეობა. პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ასევე ტექნიკური დახმარება ტრენინგებისა და ინდივიდუალური კონსულტაციების მეშვეობით.

საჩუქარი პატარებს

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში სურამსა და ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფლებში: ბიჯნისში, ურთხვაში, ახალსოფელში ხიდი-



სყურსა და კლდისწყაროში საბავშვო ატრაქციონები დამონტაჟდა. პროექტის პირდაპირი ბენეფიციარები არიან როგორც ადგილობრივი, ისე საფხულის არდადეგებზე სტუმრად ჩამოსული ნორჩი თაობის წარმომადგენლები.

სტიმულირება - წინსვლის გზამკვლევი

რამდენიმე წელია ხაშურის ტის განყოფილების უფროსმა მუნიციპალიტეტის გამგეობამ ბესარიონ გაჩეჩილაძემ სახე-შესანიშნავ ტრადიციას დაუდო მო ვითარებაში დააჯილდოვეს სათავე - ჩვენი რაიონის ის სპორტსმენები და მათი მწვრ-



სპორტსმენები (და მათი მწვრთნელები). რომლებიც წარმატებას მიაღწევნ სხვადასხვა ტურნირებზე, ფულადი პრიზებით დაჯილდოვდებიან. ეს, რათქმა უნდა, დიდი სტიმულია ჩვენი ახალგაზრდა სპორტსმენებისათვის და სასიხარულოა, რომ ასეთი სტიმულირება მათ შედეგებზეც აისახება. ასევე ტრადიციად იქცა, რომ ამ სპორტსმენების დაჯილდოვება სახეიმო ვითარებაში ხდება. ეს ტრადიცია არც ამჯერად დარღვეულა და ადმინისტრაციულ სახლში, მუნიციპალიტეტის გამგებელმა გიორგი გურასაშვილმა, გამგეობის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის უფროსმა კონსტანტინე ფრუიძემ და ამავე სამსახურის სპორ-

ნელები. დაჯილდოებულთა შორის კი იყვნენ თავისუფალი სტილის მოჭიდავეები, საქართველოს ჩემპიონები – თორნიკე კვინიკაძე, გიორგი ხაჩიძე, ალექო ლომიძე, ვანო გოდელიშვილი და მათი მწვრთნელი გიორგი კვინიკაძე; ქართულ ჭიდაობაში საქართველოს ჩემპიონები: ნიკა მამულაშვილი, გიორგი მეტრეველი, ლუკა მაისურაძე, გიგა ნოზაძე, ვახტანგ მეტივიშვილი (ამ სპორტსმენმა ჭიდაობა სამბოშიც დიდ წარმატებას მიაღწია და ევროპის პირველობაზე ბრინჯაოს მედალი მოიპოვა) და მათი მწვრთნელები – არჩილ მამულაშვილი, ბეგლარ ხარშილაძე, მალხაზ ნოზაძე, ბუხუტი ბუხრიკიძე. ინგა პაპიაშვილი

საბავშვო ბაღების რეაბილიტაციის მასშტაბური პროექტი დაიწყო

სარეაბილიტაციო სამუშაოები უკვე დაიწყო და მიმდინარეობს ხაშურის მესამე, მეოთხე და მეხუთე საბავშვო ბაღებში.

პროექტის ფარგლებში დაგეგმილია სახურავების გამოცვლა, გათბობის თანამედროვე სისტემების დამონტაჟება, გამომცვლელი ელექტროგაყვანილობა, წყლით მომარაგების სისტემების

შეიცვლება კარ-ფანჯრები და შესრულდება სხვა სამუშაოები.

ეტაპობრივად, სარეაბილიტაციო სამუშაოები მუნიციპალიტეტის სხვა საბავშვო ბაღებშიც განხორციელდება. სარეაბილიტაციო სამუშაოებს რეგიონული განვითარების ფონდი აფინანსებს.



გადავაქციოთ ხაშური სანიმუშო წესრიგისა და სისუფთავის ქალაქად!

ნელ-ნელობით, ნაბიჯ-ნაბიჯ, ყველა „ხაშურულ სენსა“ და ხარვეზს უნდა მოვერიოთ, ვუმკურნალოთ, გადავაკონტროლოთ ჩვენებული ტრადიციები და გავიხედოთ წინ - უკეთესობისაკენ!

„ცოცხალი“ ახსუ ცოცხად მოხარშული ჩვენების უმორი, გურჯა, ქაშაყი...

„ცოცხალი“ ლამის ხაშურის გერბად და სიმბოლოდ იქცევს. არადა „ცოცხალის“ დიდი ნაწილი ქვეყნის სხვა რეგიონებში და მდინარეებშია დაჭერილი. ჩვენებური გადაწყვეტილებები კი მას ჩვენთან (ძირითადად მტკვარში) დაჭერილ თევზში ურევენ და ესეც შენი „ხაშურული ცოცხალი“, რომელიც განსაკუთრებული კვებითი ღირებულებებითა და თვისებებით გამოირჩევა. ამიტომ ეტანება მას დიდი და პატარა, შინაური და გარეული, გაჭირვებულიც და დაღვინებულიც.

„ცოცხალის“ გარეშე ჩვენთან, არც ადრე და არც ახლა, მეტნაკლებად ღირებული სუფრები არ იშლება. და ასეა ახლაც. ის კი არადა, ახლა „ცოცხალი“ უხარმაზარი საქლესო სუფრებზეც კი აუცილებელ კომპონენტად იქცა. შეფასებაც შესაბამისია, „ცოცხალი“ იყო?! თუ იყო, რიგიანი სუფრა ყოფილა. ასეთია ვერდიქტი.

თევზი უნდა ვამრავლოთ და დავიჭიროთ, გამოვიყენოთ. ეს აქსიომაა, მაგრამ აქ საუბარია ბრაკონიერობაზე, თევზის უკანონო რეწვაზე. თევზი ქვეყნის საკუთრებაა, იგი ყველას გვეკუთვნის, იგი ქვეყნის სიმდიდრეა და ამდენად მას

გაფრთხილებაც სჭირდება და მოვლა-პატრონობაც. თუმცა, ეს ჩვენს მტკვარს არ ეტყობა. გადათხრილ, აჩეხილ-დაჩეხილ მტკვარზე მარტო თევზის დაჭერას კი არ უშლიან, იქიდან კენჭსაც ვერ წამოიღებ ვიღაცეების ნებართვის გარეშე, თუ არადა ხაშური მტკვარის რიყის ქვითა და სილით არის აშენებული-გაშენებული. თუ თევზის დაჭერა ან სულაც გართობა ისურვე და მტკვარს ესტუმრე, ხანამ ფეხს დაისველებდე და ერთ ჭიჭყინას მაინც დაიჭერდე, თავზე დაგადგებიან მავანი ამა ქვეყნისა და კარგად შეელოდე, — თუ გადაურჩი ციხეს, ჯარიმა და სათევზაო მოწყობილობის კონფისკაცია ზედ არის. მაშ, რატომ, ვისი ნებართვით და ხელდებით იყიდება ე.წ. ხაშურული „ცოცხალი“ ყველგან და ყოველთვის: რესტორან-სასადილოებში, გზებზე, ბაზარში, ვისი მიმე და

ყოველსშემდეგ ხელი მფარველობს „ცოცხალის მაფიას“, კარგად ჩამოყალიბებულ და ორგანიზებულ კლანს, სადაც ყველა ფუნქცია დანაწილებულია: ვინ უნდა დაიჭიროს, ვინ უნდა მიიწონოს და მოხარშოს, ვინ უნდა გაუკეთოს რეალიზაცია და ა.შ. საფუძვლიანი ეჭვი იბადება, რომ არა მადალი ეშელონების ნება და „კრიშობა“, ეს საქმე ასე მიშვებული და უკონტროლო არ იქნება. ერთი ცხადია, ეს საქმე ადგილობრივი ხელისუფლების ქვემდებარე ნამდვილად არ არის, ამ პრობლემის გადაჭრა მას არ ხელეწიფება, ეს შემდგომთა საქმეა. ეს, ალბათ, ჭეშმარიტებაა და მკითხველი დამეთანხმება, თუ არა და მოგვწერეთ თქვენი აზრი და მიდგომა ამ საკითხისადმი.



სწორედ, ამ თემას ეხება ქვემოთ დაბეჭდილი ნარკვევი-ჩანახატი, რომელიც მკითხველთა მოსაზრებებზე დაყრდნობით არის მომზადებული.

რ. მარგველაშვილი

დაივიწყეთ ტალახიანი ხაშური

მრშაბათი დღეა. ჭიჭიკია, თუმცა სამსახურში არ მიდის, მაგრამ მაინც წასასვლელად ემზადება.

მეუღლე კესარია: —საით გაგიწევია, ჭიჭიკია, ამ დილაადრიან, ხომ არ დაგავი-



დორის გარდა, არაფერი იღო. როგორ, ფიქრობდა ჭიჭიკია თავისთვის, კუკურია ხაშური მოიარა და „ცოცხალი არ გამოიყოლა?!“ დაუჯერებელია.

—ჰო, ჩემო ჭიჭიკია, - მიუხვდა როზალია ჭიჭიკიას გულის მურასს. ამჟამად კუკურია ხაშურიდან ტუფლებ-დაუსვრელი და „ცოცხალის“ გარეშე დაბრუნდა. მეც გამოიკვირდა, მაგრამ ვერაფერი ვუთხარი.

ამასობაში კუკურიაც გამოვიდა საძინებელი ოთახიდან. გულწრფელად მოიკითხა მეგობარი. ასე ადრე მოსვლის მიხეზი არც უკითხავს, მიხვეული იყო.

—ჰო, ჩემო ჭიჭიკია „ცოცხალი“ ვერ გამოვიყოლე (და ჯიბეზე დაიტყაპუნა ხელი), ისედაც ძვირი ხაშურული „ცოცხალი“, კიდევ უფრო გაძვირებულა.

—კი გასაგებია, ჩემო ძმაო, „ცოცხალის“ საქმე, მაგრამ დაწერილებული ფეხსაცმელებით, როგორ ჩამოხვედი აქანე? ტელევიზორებში სულ ტალახიანი ხაშურს ახსენებენ და ერთი მაგათი... გული მოუვიდა კუკურიას, ჩამობრძანდნენ ხაშურში და ნახონ ჩემი ხაშური, რაც იყო, იყო! ტალახიანი ხაშური წარსულს ჩაბარდა, ჩემო ჭიჭიკია, წამოდი, შენი თვალთ ნახე, გეპატიჟები, იმ კვირას ჩავიბრძინოთ ხაშურში, „ცოცხალიც“ მაშინ დავაგემოვნოთ. ახლა ხაშურში ყველა მთავარი ქუჩა მოასფალტებულია, დანარჩენი ქუჩები

მოსრული-მოშანდაკებული. უბნებიდან სისტემატურად გააქვთ ნაგავი. შენ წარმოიდგინე, ზაფხულის ცხელ დღეებში ცენტრალური მოასფალტებული ქუჩები სპეცტრანსპორტით გრილდება და ირეცხება. ცოტა მოიცადონ და მერე იბახონ „ტალახიანი ხაშური“. ჭიჭიკიამ კუკურიას ინფორმაცია დიდი ყურადღებით მოისმინა და შემდეგ თემაზე ე.წ. „ცოცხალზე“ გადავიდა.


—ჩემო კუკურია, რავა ერთი ღერი „ცოცხალი“ მაინც ვერ გამოაყოლე ხელს? ვიცი, რომ „ცოცხალი“ ხაშურში (ჭალაზე, ცხრაშუხაში, ტაშისკარში...) რესტორან-სასადილოებში, გზებზე, ბაზარში, კარდაკარ - დატარებითაც კი იყიდება!

—კი, იყიდება ჩემო ჭიჭიკია, მაგრამ ხომ გითხარი, ძვირია და მტკვარზე კი სათევზაოდ ვერ ჩახვალ, ამას თავისი დრო და ადგილი სჭირდება. ისე, თუ მაინც გაბედე და მტკვარს ესტუმრე, როგორც მითხრეს, ჭიჭყინაც თუ აღმოგიჩინეს --- -, კარგად შეელოდე, თუ ციხე აგცდა, ჯარიმას ვერ გაექცევი.

—„ბრაკონიერებს“ მტკვარზე ებრძვიან და მთელ ქალაქში „ცოცხალი“ ვაჭრობა რომ არის განაღებული, როგორ გავიგოთ ეს საქმე კუკურია?! ეგ ჩვენი საქმე არ არის, ჩემო ძმაო, მას სახელმწიფომ უნდა მიხედოს და როცა იქნება, ამას აუცილებლად მიხედავს.

—მაინც მოვდივარ იმ კვირას ხაშურში, ვნახოთ, წავიდეთ, ჩემო ჭიჭიკია, ჩემს ძმას ჩვენი სტუმრობა ნაღდად გაეხარდება. შეიძლება, „ცოცხალსაც“ გამოვეკრათ ხელი. ისე, რომ იცოდეთ, ჭიჭიკია, ამბობენ, ერთი წლით რომ აიკრძალოს მტკვარში თევზის უნებართვო ჭერა, დალოცვილი მტკვარი ისეთი დედამდინარეა, ისეთი დოვლათიანი და ძუძუტკბილია, რომ თევზი ნაპირზე ამოვა და ყანებს გადაგვიჭამს. - ისუმრა კუკურია და მეგობარი უთევზო სუფრაზე მიიპატიჟა. პირველი სადღეგრძელო ხაშურისა და ხაშურელების შესვენს და საუკეთესო მომავალი, წინსვლა, აღმავლობა უსურვეს ჩვენს მშობლიურ ხაშურს!

რ. მარგველაშვილი



წყდა, რომ დღეს არ მუშაობ, გამოსასვლელი დღე გაქვს?

—არა, ჩემო კესარია, არ დამვიწყებია. კუკურისთან მინდა, გელევიარო, ვიცი, იგი მშობლიურ ხაშურში იყო, ჩამობრძანდებოდა და ხელთ რაცხას გამოიყოლებდა, „ცოცხალს“ მაინც.

ათისნახევარი იქნებოდა, ჭიჭიკიამ კუკურიას ბინის კარი რომ შეაღო. იქვე, მისაღებში ფეხსაცმელებს გადაავლო თვალი და ცოტა შეცბუნდა - ყველა ფეხსაცმელი სუფთაა, ეე, ეს როგორ?! თუ კუკურია ხაშურში იყო, სად არის მისი ტალახიანი „ტუფლები“. ალბათ როზალიამ (კუკურის მეუღლე) დაასუფთავ-დააკრიალა მეუღლის ფეხსაცმელები, გაიფიქრა ჭიჭიკიამ და უნებლიედ მაცივრისკენ გააპარა თვალი. როზალია გუმანს მიუხვდა მეუღლის ძველ მეგობარს და მაცივრის კარი გამოაღო, სადაც მწვანე და 2 ცალი პამპ-

გადაწყვეტილ საქმეზე მტყუნ-მართლის გარჩევის შესახებ მსჯელობა იგივეა, რაც გასროლილი ტყვიის შესახებ მსჯელობა უკან გადაწვება, მაგრამ მიუხედავად ამისა, დამუხრატება და დაკუთვება მაინც არ ივარგებს.

ცხოვრება ერთი კანონის მიღებით არც დაწყებულია და არც დამთავრებულია, მაგრამ თუ კანონი მართლ-ზომიერად არ აიწონ-დაიწონა, ის შეიძლება სამოქალაქო არეულ-დარეულობის გამოწვევად გადაიქცეს.

მე 1990-იანი წლების სამოქალაქო არეულ-დარეულობის ეპიცენტრში მიმდინარე პროცესების მომსწრე და მსხვერპლი ვარ. დღესაც შენახული მაქვს ტყვიის გარსის ნაგლეჯი, რომელმაც ლოყაზე გამკრა და თუმცა გარეგნულად დღესათვის შეუმჩნეველი, მაგრამ შინაგანად მოურჩენელი ტკივილი და იარა დამიტოვა.

იმ არეულობას დღემდე არ მისცემია ობიექტური შეფასება. ხან სამოქალაქო, ხან თბილისის ომს, ხან რევოლუციას და ა.შ. უწოდებენ. ფაქტი კი ერთია: ალა-შაჰადახანის შემოსევის შემდეგ, თბილისის ისე არაფერს აუთხრებია, როგორც ეს ტვინარეულმა ქართველებმა შეძლეს. დღემდე, ზუსტად არავის დაუთვლია საქართველოში კანონიერი პრეზიდენტის ჩამოგდებას რამდენი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა და რა მატერიალური ზარალი მიადგა ჩვენს გაძვალტყავებულ ქვეყანას. არც ვინმეს პასუხისმგებლობის საკითხი დამდგარა.

ვიყენებ ჩემს კონსტიტუციურ უფლებას სიტყვის თავისუფლების შესახებ და გამოვთქვამ მოსახურებას იმ პროცესისა და კანონის შესახებ, რომელმაც ნერვები დააგლიჯა ყველას, ვისაც აწუხებს თავისი ქვეყნისა და ხალხის ბედი.

ფარულ მოსმენათა შესახებ კანონპროექტის განხილვისას განსხვავებულ აზრთა გამოთქმა კანონზომიერი და დემოკრატიული პროცესია. წარმოქმნილი დაძაბულობის განმუხტვისათვის კი პრეზიდენტს დროულად უნდა ეთქვა გადაწყვეტი სიტყვა.

მე, მომენვენა, რომ პრეზიდენტმა გადაწყვეტი სიტყვის თქმის ნაცვლად ახალი საჯილდოო ქვა ჩააგდო მოკამათეთა შორის, რაც გამოიხატა მის მიერ კანონპროექტის ახალი ვარიანტის შეთავაზებაში, რომელიც ორივე მხარისათვის მიუღებელი აღმოჩნდა.

პრეზიდენტი არც უმრავლესობის და არც უმცირესობის პრეზიდენტი არ არის. მათ თავიანთი პოლიტიკური ლიდერები ჰყავთ. პრეზიდენტი პარტიული კუთვნილების მიუხედავად, ქვეყნის ყველა მოქალაქის და სახელმწიფოს პრეზიდენტი. ის ვალდებულია, დაძაბული სიტუაცია მანამდე განმუხტოს, ვიდრე მხარეები ერთმანეთს დასცხებენ. მართალია, მას საკანონმდებლო ინიციატივის უფლება არ გააჩნია, მაგრამ საკუთარი აზრი თუ გააჩნდა, იგი სხვისი მეშვეობით მაინც უნდა მიეწოდებინა პარლამენტისთვის, რაც თავიდან აგვაცილებდა კანონპროექტის შემჭიდროებულ ვადებში განხილვის თავისმტვრევას და პარლამენტს მისი ოპტიმალური ვარიანტის მიღების შესაძლებლობას მისცემდა.

არც ერთი ყოფილი პრეზიდენტისთვის, მიუხედავად ჩემი ცალკეული სიმპატიებისა, ხოტბა არ შემისხამს, არც ახლა ვაპირებ გუნდრუკის კმევას და ვინმეს კულტის ჩამოყალიბებაში მონაწილეობის მიღებას, ამიტომაც, ხმამაღლა ვსვამ კითხვას: პრეზიდენტის სასწორი ხომ არ მოეშალა?

ბატონ გ. მარგველაშვილი გაწონასწორებულ პიროვნებად მიმაჩნია. მან რამდენჯერმე შეძლო მთავრობასთან დაპირისპირების შესაძლებლობების არიდება,

მაგრამ ბოლომდე შემრიგებლურ პოზიციაში ვერ დარჩა. ის, რაც შეიძლება ეპატიოთ ცალკეულ პიროვნებებს, არ შეიძლება ეპატიოს პრეზიდენტს. მას არ აქვს უფლება ემოციურად თითი დააჭიროს სასწორის რომელიმე პინოს და დაარღვიოს ნამდვილი წონალობა.

ფარული მოსმენების შესახებ კანონპროექტზე ვეტოს დადებისას, მას უნდა აეწონ-დაეწონა და წინასწარ განესაზღვრა, რა შედეგის მომტანი იქნებოდა მისი გადაწყვეტილება. პატარა ბავშვიც კი მიხვდება იმდენს, რომ თუ გუშინ 10 კაცი მეტი იყო ხუთ კაცზე, ბევრიც რომ იჭირვებულოს, იგივე იქნება დღესაც. ე.ი. გუშინდელი უმრავლესობის მიერ მიღებულ კანონს უპირატესობა ექნება დღესაც.

გ. მარგველაშვილმა ვერ შეაფასა იმ პოლიტიკური სპექტრის შინაგანი მალული სურვილი, რომელიც ცდილობს, ხელიდან გამოსცანცლოს დანაშაულობის წინააღმდეგ ბრძოლის იარაღები და კისერი წაატეხოს დღევანდელ ხელისუფლებას.

საპარლამენტო უმრავლესობის აზრის წინააღმდეგ რომ თაობიცა გაილაშქრებდა, ეს გასაკუთრებულია, მაგრამ ისეთი ორგანიზაციების პოზიცია

პრეზიდენტს სასწორი ხომ არ მოეშალა?

მაკვირვებს, როგორცაა არასამთავრობო სექტორი, თუმცა, თუ გავითვალისწინებთ ვინ აფინანსებს მათ, გასაკვირი აღარაფერი იქნება. არასამთავრობო სექტორი, თუ მას არსებობის უფლება აქვს, უნდა იყოს ნეიტრალური საზოგადოება, რომელიც პოლიტიკურ ორღესულ ხანჯალს უნდა წარმოადგენდეს და არა ცალ მხარეს მჭრელ ხმალს. მათ უნდა ჰქონდეთ სრულად მიუკერძოებელი აზრი, წინააღმდეგ შემთხვევაში რა საჭიროა მათი და მათნაირთა არსებობა, რა სარგებლობა მოაქვს მათ მოღვაწეობას სახელმწიფოსათვის? მთავრობას და ხელისუფლებას საღიანდობად და საკრიტიკებლად თავისუფალი მედიაც ყოფა. ვინც „არც მიწისა ვარ, არც ცისას“ ლოზუნგით მოღვაწეობს, ის არც ხელისუფლებას ჭირდება, არც ოპოზიციას და არც სახელმწიფოს.

პრეზიდენტის სასწორზე, როცა სახელმწიფო უსაფრთხოება და ცალკე მოქალაქეთა პერსონალურ მონაცემთა დაცვა დაიღო, მის ხელში არსებული გირი, იმ პირობებზე უნდა დადებულიყო, რომელზეც არის წარწერა: პირად ინტერესებზე მაღლა უნდა დავაყენოთ სახელმწიფოს ინტერესები.

თუ სახელმწიფოს საფრთხე ემუქრება, მაშინ მოქალაქეთა პირადი უფლებები იხლებება. მკაფიო მაგალითად საკომუნდატო საათებში დადგენილი წესებიც კი გამოდგება. მოქალაქეს აქვს უფლება დამის საათებში ისე ირნოს, მაგრამ ამას სახელმწიფო უკრძალავს თავისივე სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდების აცილების მიზნით.

ფარული მოსმენების მიზანია სახელმწიფო უსაფრთხოებისა და მოქალაქეთა კანონიერი უფლებების დაცვა.

თუ ერთი საუკუნო მოქალაქე მეორე საუკუნო პირთან კავშირგაბმულობის საშუალებების გამოყენებით გეგმავს მესამე პირის გაქურდვა-გამარცხვ-დაყენებას, საცხოვრებელი სახლის, ან სამსახურის შენობის აფეთქებას და კომპეტენტური ორგანოები ამ განზრახვას ვერ დააფიქსირებენ და ზომებს არ მიიღებენ, გარდაუვალი დადგება მოქალაქეთა არა მარტო უფლებების დარღვევის, არამედ,

სიცოცხლის ხელყოფის ფაქტიც კი. საუკუნო პირს დიახაც, უნდა მოუსმინონ და თუ ის, სასიყვარულო ან საგარეუნიღებო საკითხებზე საუბრობს, რასაკვირველია, რეაგირების გარეშე უნდა დატოვონ და არავინ არ უნდა ჩაერიოს მის პირადულ ცხოვრებაში.

პრეზიდენტის სასწორზე არ დაიდო ორი კითხვა: ვის ეშინია და ვის არ ეშინია ფარული მოსმენებისა.

ერთ მხარეს, რომელსაც „ეშინია“ აწერია, უნდა დადგებულიყო იმ პირთა ინტერესები, რომლებიც:

- დალატობენ სახელმწიფოს ინტერესებს;
- ხელყოფენ სხვის ქონებას;
- ეწვეიან გარეყნილ ცხოვრებას.
- საკუთარი კუჭისა და ჯიბის გარდა, არაფერზე ზრუნავენ;
- არიან მერყევი ხასიათისა და ნებისმიერ დროს შეუძლიათ ჩაიღონ დანაშაული;

- პირად ცხოვრებაში ჩადენილი უარყოფითი ქმედებისათვის არ განიცდიან სინდისის ქენჯნას;

- თავისი ანტისაზოგადოებრივი ქმედებებით უარყოფითად მოქმედებენ მოზარდთა აღზრდაზე.

მეორე მხარს, რომელსაც „არ ეშინია“ აწერია, უნდა დადგებულიყო

იმ პირთა ინტერესები, რომლებიც:

- არ არღვევენ სახელმწიფოში დადგენილ კანონებს და წესრიგს;
- არიან ადამიანური მორალისა და ზნეობის ერთგულნი;
- განიცდიან სინდისის ქენჯნას პირად ცხოვრებაში დაშვებულ უარყოფითი ქმედებისათვის.
- ამბობენ: მისმინეთ და მითვალთვალებთ რამდენიც გინდათ;
- პირადი ცხოვრებით საუკეთესო მაგალითს უწვენებენ მოზარდ თაობას.

სადი გონების ადამიანები აშკარად შეამჩნევენ თუ სასწორის რომელი მხარე დაძლევს.

რაც შეეხება ჩემს პირად დამოკიდებულებას, ყოველთვის იმას განვიცდიდი, რომ არავინ მისმენდა. თუმცა, განვლილი ცხოვრების ცალკეული ეპიზოდების გაანალიზებით ვუსკვნი, რომ მითვალთვალებდნენ, მისმენდნენ, ცალკეული საცდუნებლითაც მცდიდნენ და მამოწმებდნენ. ამ ფარული მეთოდების გამოყენების შედეგად მე, სოფელში გაზრდილმა, სრულიად უპატრონო კაცმა, რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს და თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს ცენტრალურ აპარატში მუშაობის 30 წლის განმავლობაში, შეუფერხებლად გავიარე გზა კურსანტობიდან ყველა საფეხურის გავლით, პოლიციის პოლიკონსტაბლად და პენსიაზე წამოვედი 68 ჯილდო-წახალისებით, ერთი საყვედურით და ერთი სასტიკი საყვედურით.

თუ არა ზემოხსენებული ფარული მეთოდების გამოყენება ალბათფერავინ შენიშნავდა ჩემს პიროვნებაში ურყევად შეზრდილ დადებით მხარეებს.

თვალში საცემია ურთიერთსაწინააღმდეგო აზრები იმის შესახებ, რომ შინაგან საქმეთა ორგანოებისადმი ნდობა გაიზარდა, ხოლო მის ხელში „გასაღების“ ჩაგდების მოწინააღმდეგეთა რიცხვიც ასევე გაიზარდა, რასაც საფუძვლად უნდობლობა უდევს.

იმის შიშით, რომ ადრე გვისმენდნენ და შინაგან საქმეთა სამინისტრომ კიდევ შეიძლება მოგვისმინოს, ხომ არ შეიძლება მათ შევუზღუდოთ ოპერატიული მუშაობის წარმოება, იარაღის და სპეცსაშუალებების ტარების და გამოყენების უფლება და ა.შ. „შეიძლება“ რომ ვიმსჯელოთ,

შეიძლება, მათ იარაღით ტყვია გვესროლონ, დაგვაბრკოლონ, ცრემლმდენი გაზი შემოგვიბერონ და ა.შ. თუ მათ ყველაფრის უფლებას შევუზღუდავთ, მაშინ, მივიღებთ ხრუშოვისებურ „დრუჟინებს“, რომლებიც მართო რეზინის „დუბინკებით“ იქნებიან შეიარაღებულები და ჩამოერთმევათ პოლიციის ფუნქციები. აქედან გამომდინარე, პოლიციას უნდა მოეხსნას დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის პასუხისმგებლობაც. წარმოიდგინეთ, რა მდგომარეობა შეიქმნება, თუ ქვეყანაში არ იარსებებს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის და დამნაშავეობის წინააღმდეგ სპეციალური საშუალებებით და უფლებებით აღჭურვილი მეტროპოლი სამსახურები.

როგორ შეიძლება ცალკეული თავშეუკავებელი მოქალაქის პერსონალური მონაცემების ხელშეუხებლობის შიშით საფრთხეში ჩავაგდოთ მოქალაქეთა მთელი არმია? ვისაც პირადი ცხოვრების გამოაშკარავების ეშინია, ნუ ჩაიდენს ამორალურ ქმედებას და მშვიდად დაიძინებს.

ბატონ პრეზიდენტს სიჩქარეში ისიც გამორჩა მხედველობიდან, რომ სასამართლო არის სიმართლის სფეროს უზენაესი ორგანო და მას, არ შეიძლება დაუნიშნო ზედამხედველად და კონტროლიორად გამოგონილი თანამდებობის პირი. ქვეყანაში, სადაც არსებობს თავისუფალი მედია და კანონიერების დაცვის ზედამხედველი ორგანო პროკურატურის სახით, აღარ უნდა იყოს საჭირო პერსონალური მონაცემების დამცველი და სხვა მოქალაქე ორგანიზაციები, რომლებსაც მინიჭებული აქვთ ყველაფერის თქმის და არაფრის გადაწყვეტის უფლებები.

მე, როგორც ამომრჩეველი, მივმართავ საქართველოს პარლამენტის წევრებს, რომ მომავალში აღარ დაუშვან კანონებისა და სხვა მნიშვნელოვანი დოკუმენტების ფაცი-ფუცით მიღება. პარლამენტიდან გამოსული ყველა დოკუმენტი უნდა იყოს გამართულ სასწორზე აწონილ-დაწონილი, აუქნარებლად, ყოველგვარი ნერვოიული დაძაბულობის, ურთიერთშეურაცხყოფის, გაწვევ-გამოწვევის, ცემა-ტყუპის გარეშე ბრძნულად განხილული, უმრავლესობის მიერ მოწონებული და მიღებული.

ასევე, მოვეუწოდებ საქართველოს პრეზიდენტს, რომ არასოდეს აღარ მიიღოს ანქარებული გადაწყვეტილება ვეტოს გამოყენების შესახებ, რადგანაც, ასეთი ქმედება, გარკვეულწილად, მოქმედებს მის ავტორიტეტსა და კომპეტენტურობაზე. ამომრჩეველებს გვინდა, გვყავდეს ისეთი პრეზიდენტი, რომელიც იშვიათად მოხვდება ობიექტური კრიტიკის ქარცეცხლში.

მკითხველს ვთხოვ, აქ გამოთქმული შენიშვნები არ ჩამითვალოს ოპოზიციურ გადახრად. მე, „მოყვარეს პირში უძრახავენ“-ო პოზიციიდან გამოვიდვარ და არ მინდა, მომავალშიც, ისეთი დაძაბულობით მიმდინარეობდეს კანონპროექტთა განხილვა, მფლობელობის თაობაზე, წარმოებული კამათისას.

ამომრჩეველებო, იფიქრეთ, იმაზე, მომავალში სასწორის რომელ მხარეს დადებთ თქვენს ხმას. მოსმენების ნუ შეგეშინდებათ. მართალ და პატიოსან კაცს არასოდეს ეშინოდა. დღევანდელი მთავრობა თანამოქალაქეთა პროვოცირების გზას არ დაადგება. ასეთი გზა უკვე გავიარეთ. ახლა, იმაზე იფიქრეთ, ვაი, თუ არ მოგვისმინონ და ჩვენი ხმა დარჩეს „ხმად მღალაღებლისა უდაბნოსა შინა“.

რევაზ გრიგალაშვილი

გარემოვაჭრები ბაზარს უბრუნდებიან


შექმნილმა სოციალურ-ეკონომიკურმა მდგომარეობამ, თავის მხრივ, სხვა ტიპის პრობლემები შექმნა. თვითგადარჩენის ინსტიქტმა ადამიანები ქუჩაში გამოიყვანა. სხვადასხვა ტიპის საყოფაცხოვრებო ნივთებისა თუ მოხმარების პროდუქტების გაყიდვით აღებული ფული, ხშირად, მათი შემოსავლის ერთადერთ წყაროს წარმოადგენს. ძალიან რთულ პირობებში, წელიწადის ყველა დროს, ისინი ქუჩაში დგანან, გარემოვაჭრის სტატუსით. თუმცა, ადამიანური თანაგრძნობის ფაქტორებსაც აქვს სხვა რეალობის აღქმის მეორე მხარე-ქუჩაში შექმნილი ქაოტური მდგომარეობა და ანტისანიტარია. როგორც ზედამხედველობის სამსახურმა გვითხრა, გარემოვაჭრეობა უკვე ხაშურის ისტორიად იქცა.

თეიმურაზ ლომუაშვილი-ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობის სამსახურის უფროსი:

-გარემოვაჭრების პრობლემა დიდი ხანია დგას საქართველოს ყველა რეგიონში, მათ შორის - ხაშურში, რაც განპირობებულია სოციალური პრობლემებით. ნამდვილად გასაგები და გულთან

მისატანია, თუმცა ბევრ გარემოვაჭრეს, ბაზარში, შედარებით ნორმალურ პირობებში დგომას და მინიმალური გადასახადის, ერთი ლარის გადახდას, ქუჩაში დგომა და გაუსაძლის პირობებში ვაჭრობა ურჩევნია, რაც ქმნის საშინელ ანტისანიტარიას, ირღვევა ქალაქის იერ-სახე. ძირითადად, ხაშურის ცენტრალურ ქუჩებში და ხალხმრავალ ადგილებში ხდება გარემოვაჭრობა, მიუხედავად იმისა, რომ ბაზარში უამრავი ადგილია თავისუფალი, მაგრამ გარემოვაჭრები ამ ადგილებს ნაკლებად პრესტიჟულად თვლიან და ქუჩაში ამჯობინებენ დგომას. ბაზრის ადმინისტრაცია ცდილობს, მოაწესრიგოს ინფრასტრუქტურა და მოვაჭრეების პირობები გააუმჯობესოს. ზედამხედველობის სამსახური, პოლიციასთან ერთად, ახორციელებს ღონისძიებებს გარემოვაჭრების აღსაკვეთად, რაც წარმატებით განხორციელდა, ქუჩაში თითქმის ვეღარ შეხვდებით გარემოვაჭრების ფაქტებს. არსებობს ადმინისტრაციული ტიპის ჯარიმები, ჩვენ ვწერთ ოქმს, სასამართლო აჯარიმებს, პირველ შემთხვევაში 500 ლარით, განმეორების შემთხვევაში ჯარიმა 1000-ლარია. ამიტომ, რომ არ მოხდეს მსგავსი პრევენდენტი და დაიცვათ გარემოვაჭრეები(რომელიც ჩვენი საზოგადოების ნაწილია) და ჩვენი, მომხმარებლების ინტერესე-

ბიც, ზედამხედველობის სამსახურმა და იურიდიულმა სამსახურმა, შევიმუშავეთ პროექტი, რომელიც გულისხმობს გარკვეული ტერიტორიის



გამოყოფას, სადაც სეზონურად, დღესასწაულებზე გაიმართება ბაზრობები, რისი ანალოგიც არსებობს ევროპის მრავალ ქვეყანაში. რაც მოსახლეობას მისცემს საშუალებას გაიყიდონ და იყიდონ მათთვის სასურველი პროდუქცია. ეს დაიცავს მყიდველისა და გამყიდველის ინტერესებსაც და ქალაქსაც სუფთა იერ-სახეს შეუნარჩუნებს.
თ. ჯავახიშვილი


რვა ქართული ფილმი ხაშურში

გასული თვის დასაწყისში, ხაშურში რეჟისორ ნანა ჯანელიძეს უმასპინძლა ფილმით, "ნეტავ აქ თუ ატრი არის?" ფილმის ჩვენება "კინოსკოლაში" პროექტის ფარგლებში მოეწყო, რომლის მიზანი, ახალგაზრდა თაობაში, კინოს სიყვარულის გაღვივება და კინოსთან დაბრუნება იყო. შეხვედრაზე, ქალბატონმა ნანამ გამოთქვა სურვილი, გამართულიყო კომერციული კინოჩვენებები, რომე-

-კულტურის ცენტრების გაერთიანებასა და საქართველოს კინემატოგრაფიის ცენტრს შორის გაფორმდა ხელშეკრულება, რომელიც საშუალებას მოგვცემს, 8 ქართული ფილმის ლიცენზირებული ჩვენების ნაჩვენებები იქნება თანამედროვე რეჟისორების მიერ გადაღებული ცნობილი ქართული ფილმები, ჩვენებები გაიმართება თოჯინების თეატრის ახალ დარბაზში, რომლის ინფრასტრუქტურაც სრულად პასუხობს კინოჩვენებების მოთხოვნილებებს. ორი თვის განმავლობაში, კვირაში ორჯერ, ვაჩვენებთ რვა ფილმს. ბილეთის ფასი 2 ლარი იქნება, რაც ფიქრობ, ყველასათვის ხელმისაწვდომია. სურვილის შემთხვევაში, და-

ვინ უნდა დაიცვას უწმინდესი?!

ამ რამდენიმე კვირის წინ, უცნაური რესპოდენტი გვესტუმრა. აინტერესებდა ჩვენი აზრი იმასთან დაკავშირებით, თუ რატომ არ უნდა ერეოდეს კათალიკოს-პატრიარქი ქვეყნის საერო საქმეებში, რომ ვუთხარი, საიდან ასეთი შეკითხვაო, დაგვმოძღვრა - რა, პრესაში, ტელევიზიაში არ მოგისმენიათ ჩვენი პარლამენტის ზოგიერთი წევრის, არასამთავრობების, ჟურნალისტებისგანაც კი განცხადება იმის შესახებ, რომ უწმინდესი საერო საქმეებში არ უნდა ერეოდესო. და იქვე გამოთქვა თავისი მოსაზრება: კაცი, რომლის სადღეგრძელოს თითქმის ყველა სუფრაზე სვამენ, თანაც პირველ რიგში, რომელიც ერის მამად არის მიჩნეული; როცა მის ღოცვას, რჩევა-დარიგებას, აზრს ჯადოსნური ძალა აქვს; კაცს, რომლის მრევლი ქვეყნის მოსახლეობის თითქმის 70 პროცენტია, თურმე უფლება არ აქვს თავისი ხალხის, ეკლესიის მრევლის ბედის განსაზღვრაში თავისი ავტორიტეტული აზრი გამოთქვას(!) მაშინაც კი, როცა ქვეყანა და ხალხი მძიმე განსაცდელშია. თუ საქართველოში ეკლესია სახელმწიფოსგან გამოყოფილია, მაშ ვის დაუფჯეროთ, ვის გავეყვ, უწმინდესს თუ პარტია-პარტია მოჯირითე ვაიპოლიტიკოსებს?! სულწაწყმედილ სახელმწიფო მოხელეებს თუ ვიღაც გადამთიელ ე.წ. ლიბერალ-დემოკრატებს?! დასძინა ჩვენმა უცნობმა რესპოდენტმა. სამწუხაროდ, ასეთ შემთხვევაში, როცა საზოგადოებრივი ორად არის გახლეჩილი, გამოჩნდებიან ხოლმე ადამიანები, რომლებიც ბედავენ შეურაცხყოფნის უწმინდესი და ეკლესია. ასეთი გამოხდომები ამ რამდენიმე ხნის წინ ინტერნეტსივრცეში იყო. ასეთი თავხედობა და ცინიზმი დაუსჯელი თუ არა, სათანადო რეაგირების გარეშე მაინც არ უნდა დარჩეს. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი ამას სახელმწიფოს, ხალხის, მრევლის სისუსტედ მიიჩნევენ და უფრო გათავხედდებიან. დაუსჯელი უკანონობა ისევ უკანონობას შობს, თუმცა, როგორც გავიგე შესაბამისი კანონმდებლობა არც კი გვქონია, პოდა მოდგებიან და ყოველდღე ლანძღვა-გინებას არ მოგვაკლებენ, გაიჯეჯილებენ და მერე ვინ დაზარალებდა ამით? პირველ რიგში, ქვეყანა, ხალხი, სულიერება და ქართული მენტალიტეტი. ქვეყანა, დედაეკლესია თითოეულმა ჩვენთაგანმა უნდა დაიცვას ამ სატანებისგან, თუ არა ქვეყანას ურწმუნოება და უმადურობა წაღვეკავს.
რ. მარგველაშვილი



ახალი ქართული ფილმების რეიტინგ-სეზონი

საქართველოს კინემატოგრაფიის ცენტრი
Georgian National Film Center

<p>„კრამლის ლიბინი“ - 2014 წელი</p> <p>რეჟისორი: ზურაბ აბაშიანი 23 ივლისიდან</p>	<p>„მანდარინები“ - 2013 წელი</p> <p>რეჟისორი: ნანა ციციანი 30 ივლისიდან</p>
<p>„ბრძალი ნათელი ფილმი“ - 2013 წელი</p> <p>რეჟისორი: ნანა ციციანი 13 აგვისტოდან</p>	<p>„53 პარ ბენი“ - 2014 წელი</p> <p>რეჟისორი: თაბუკაძე 13 აგვისტოდან</p>
<p>„პატარა ღიბი“ - 2013 წელი</p> <p>რეჟისორი: თაბუკაძე 27 აგვისტოდან</p>	<p>„სიმინდის კანკალი“ - 2014 წელი</p> <p>რეჟისორი: თაბუკაძე 27 აგვისტოდან</p>
<p>„მანდარინები“ - 2014 წელი</p> <p>რეჟისორი: თაბუკაძე 3 აგვისტოდან</p>	<p>„ყარაბაღის დაპყრობა“ - 2014 წელი</p> <p>რეჟისორი: თაბუკაძე 19 აგვისტოდან</p>

ლიც გაიმეორებდა პროექტის იდეოლოგიას. რატომღაც, ჩავთვალე, რომ იდეა მხოლოდ სურვილის დონეზე დარჩებოდა. ქუჩაში ვაკრულმა კინოაფიშებმა, რომელიც ხაშურში რვა ქართული ფილმის ჩვენებას აანონსებდა, ჩემი სასიამოვნოდ გაცემა გამოიწვია და მეტი ინფორმაციისათვის, კულტურის ცენტრების გაერთიანების მმართველს, ბ.ნ ვიორგი ბოლოკაძეს ვესტუმრე. მოლოდინი დადასტურდა!

ვამატებთ სიანსებს. იმედი მაქვს, ხაშურის მოსახლეობა, დამხვებლები სიხარულით შეხვდებიან ამ ფაქტს რადგან ხაშურში დიდი ხანია მსგავსი პრევენდენტი არ ყოფილა. დავაბტოეთ მეგობრები, კლასიკები, როგორც ადრე, ძველ, კარგ დროს ახლაც ბილეთის ფასიც ორი-ოდე ლარს ითვლის და სიამოვნებაც "ერთი ხელის გაწვდენაზე".
თ. ჯავახიშვილი

ჭურნალი „გზაჯვარედინი“ მკითხველთან მიდის

22 ივლისს, ხაშურის კულტურის ცენტრში, გაიმართა ლიტერატურულ-შემეცნებითი ჟურნალ „გზაჯვარედინის“ მეორე ნომრის პრეზენტაცია და ხაშურელი პოეტების ხსოვნისადმი მიძღვნილი პოეზიის საღამო, სახელწოდებით „გზაჯვარედინი, სიცოცხლე“. საღამოს ორგანიზატორი, ამავე ჟურნალის რედაქტორი, ქალბატონი ეკა ბაქრაძე გახლდათ, რომელსაც კარგად იცნობს ლიტერატურული საზოგადოება, და რომელმაც დაუვიწყარი, სევდანარევი საღამო აჩუქა ხაშურს. საღამოს მეტი სიღამაზე და პოეტური ეშის შესძინა მანანა დანგაძის, მაცვალა ხაჩიძის, მურად მთვარელიძის პოეზიამ. ამავე პოეზიაზე შექმნილმა საოცარმა სიმღერებმა, რომელიც დღემდე ახსოვს და უყვარს ხაშურს. ქალბატონმა ეკამ მადლობა გადაუხადა თითოეულ ადამიანს, ვისაც წვლილი მიუძღვოდა ჟურნალის გამოცემაში, ისაუბრა მოსახლეობაზე, თუ როგორი ინტერესით ელოდნენ მეორე ნომრის გამოცემას. ჟურნალის პირველმა ნომერმა დიდი მოწონება დაიმსახურა, არა მხოლოდ ჩვენ ქალაქში, არამედ ფარგლებს გარეთაც. იდეა და სურვილი, ხაშურში ლიტერატურულ-შემეცნებითი ხასიათის ჟურნალის დაარსების, ბატონ ვაჟა შუბითიძეს ეკუთვნოდა და მანვე ჟურნალის დიდ მნიშვნელობაზეც ისაუბრა. ჟურნალში არა მარტო პოეზიაა, არამედ

ანალიტიკურ წერილებსაც შევხვდებით. საღამოს ესწრებოდა წმ.იოანე ნათლისმცემლის ტაძრის წინამძღოლი მამა ალექსი, გახარებული იმით, რომ ასეთი ჟურნალი არსებობს და სულიერად ასაზრდოებს რაიონის ახალგაზრდებს და მათი სულიერი ფასეულობების გაზრდას უწყობს ხელს.

ბევრი კარგი პოეტი ახსოვს ხაშურს, სამწუხაროდ, რამოდენიმე მათგანი ცოცხალი აღარაა, თუმცა მათი სახელები ყოველთვის ახსოვს ქალაქს. სწორედ, მათი სახელების უკვდავსაყოფად, საღამოზე გაიხსენეს გიორგი მეტრეველი, ციცილი ბურნაძე, მურთაზ დიპარტელიანი, ისაუბრეს მათ დიდ დამსახურებაზე, პოეტებმა წაიკითხეს, როგორც მათი ლექსები, ასევე მათი ხსოვნისადმი მიძღვნილი საკუთარი ლექსები, შესრულდა მათ ლექსზე შექმნილი სიმღერები. ისინი, მართლაც რომ შუქს ჰფენდნენ ჩვენს რაიონს. მურად მთვარელიძემ გაიხსენა მათთან გატარებული დრო და სიხარულით აღნიშნა, რომ გიორგი მეტრეველის ლექსი „სამშობლოს“ შეტანილია სასკოლო სახელმძღვანელოში. რაც ხაშურის პოეტური ბუნების დასტურია.

როგორც ქალბატონმა ეკამ საღამოს დასასრულს გვითხრა, პრეზენტაციის თარიღის დანიშვნა სიმბოლურ ხასიათს ატარებდა, რადგან, 22 ივლისი ბატონი მურადის დაბადების დღეა. იმ ადამიანის, რომელიც ეკას პოეზიის ერთგვარი გზამკვლევი, დიდი გულშემატკივარი და ქომაგია.

ინგა პაპიაშვილი

„მერსი ქორფისის“ და აღდაგის შეთავაზებები ხაშურის მოსახლეობას

არასამთავრობო ორგანიზაცია „მერსი ქორფისი“ და მისი პარტნიორი ორგანიზაციები „ფერმერული კოოპერატივების განვითარება საქართველოს სასოფლო-მშენიციპალიტეტში“ პროგრამის ფარგლებში, იწყებენ ახალი ინიციატივას, რომელიც ითვალისწინებს სასოფლო-სამეურნეო კოოპ-

ბის შემთხვევაში. შეხვედრაზე „მერსი ქორფისის“ წარმომადგენლებმა ისაუბრეს ყველა პირობაზე, რომელიც საჭიროა გრანტის მისაღებად. პირველი ეტაპი, დარეგისტრირებას მოიცავს, როგორც სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის, შემდეგ ბიზნეს პროექტის დაწესება, რომლის განხილვაც ხდება და გარკვეულ დროს მოიცავს. წელს ამ პროექტის ფარგლებში გათვალისწინებული იყო, 70 კოოპერატივის დაფინანსება და ხელშეწყო-

ოდ დიდი აქტიურობით გამოირჩევა. უწყვეტია კონტაქტი დამფინანსებელ ორგანიზაციასა და კოოპერატივის შორის, ხდება მონიტორინგიც. ეს დიდი ხელშეწყობაა ახლად შექმნილი კოოპერატივებისთვის, რომლებიც პირველად იწყებენ ბაზარზე ორიენტირებას. შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში მიმდინარეობდა, სადაც როგორც უკვე მოქმედმა და რეგისტრირებულმა, ასევე ჩამოყალიბების პროცესში მყოფი კოოპერატივების წარმომად-



ერატივების ბიზნესის განვითარების მხარდაჭერას. აღნიშნული ინიციატივა მიზნად ისახავს, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერას, რათა მათ გააფართოვონ და განავითარონ თავიანთი ბიზნესი ტრენინგების, ცნობიერების ამაღლებისა და საინვესტიციო მხარდაჭერის გზით. ინიციატივა ეხება იმ რეგისტრირებულ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს, რომლებიც ფუნქციონირებენ პროგრამის სამიზნე მუნიციპალიტეტებში. ამისათვის, საჭიროა, მოქმედი ბიზნესის იურიდიული რეგისტრაცია, რომელსაც გააჩნია სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსი და აქვს უნარი მიიმუშ 15% თანხობრივი და 15% ართანხობრივი ფინანსური თანამონაწილეობისა დაფინანსე-

ბა, კონკურსის და შერჩევის პირობებში. ეს იმაზეა დამოკიდებული, რამდენად კარგ ბიზნეს იდეას წარმოადგენს. ამჟამად 23 განაცხადია შესული. პროცედურა ასეთია, შემოდის განცხადება, ხდება მისი განხილვა, შერჩეული კოოპერატივთან ხორციელდება ვიზიტი, რათა დადგინდეს, რამდენად რეალურია ის, რასაც კონკურსანტი სთავაზობს. შემდგომი ეტაპი არის 4 დღიანი ტრენინგი, სადაც სასარგებლო რჩევებს იღებენ, თუ როგორ განავითარონ ბიზნეს გეგმა. იმ კოოპერატევს, რომლებსაც არ გაუმართლათ წინა წელს, ეძლევათ შესაძლებლობა, განაცხადი შეიტანონ წელსაც. როგორც ხაშურის რეგიონალურმა კოორდინატორმა, ვასილ ბუთხუშმა აღნიშნა, ხაშურის რაიონი ამ მხრივ, საკმა-

დობრად მზადყოფნაშია და განცხადებებს მთავრად მიიღებს და გაცხეს მათთვის საინტერესო ინფორმაცია. შეხვედრის ბოლოს, სადაზღვეო კომპანია აღდაგის ხაშურის ფილიალის წარმომადგენელმა ისაუბრა მოსახლეობის დახმარებაზე. სახელმწიფოს თანამონაწილეობით, რაც საშუალებას მისცემს გლეხს, სეზონის განმავლობაში სეტყვის, ქარიშხლის, ჭარბი ნალექის, საშემოდგომო ყინვის შემთხვევაში (მხოლოდ ციტრუსებისათვის), დაიცვას თავი მოსალოდნელი და გაუთვალისწინებელი ხარალისაგან. მსგავსი ტიპის შეხვედრები მოსახლეობას მისცემს საშუალებას სწორად განსაზღვრონ, დაგეგმონ და დაიცვან საკუთარი შრომა.

თ. ჯავახიშვილი

წარმატებული სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი "რაჯდენი"

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შექმნაზე, მოდელზე, უპირატესობებზე, ამერიკულ გამოცდილებაზე, ჩვენს წინა ნომრებშიც ვისაუბრეთ. მოსახლეობის დიდი ნაწილი, კოოპერატიულ გაერთიანებებს, დღემდე კომუნისტური ეპოქის გადმონაშთად თვლის, სადაც მრავალი ადამიანის მიერ შექმნილი და დაგროვილი დოვლათი, მხოლოდ ერთი პირის, სახელმწიფოს საკუთრება ხდება, გაწეული შრომის მინიმალური გასამრჯელოს სანაცვლოდ. შეიცვალა სტრუქტურა, მიდგომები. როგორც აღმოჩნდა, თვითონ ამერიკული კოოპერატიული მეურნეობის მოდელი, საბჭოთა კავშირის კოლმეურნეობის მოდელიდანაა აღებული, დამუშავებული და ქვეყანას მორგებული. მესამე წელია, მიმდინარეობს მოსახლეობის ინფორმირებულობა, ჩართულობა სხვადასხვა ტრენინგებში, ურთიერთობები სხვადასხვა ხელშეწყობ ორგანიზაციებთან. მიუხედავად მოსახლეობის შიშისა და სკეპტიკური დამოკიდებულებისა, ხაშ-



ურის რაიონში, 27 დიდი და მცირე სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივია შექმნილი, რაც ბევრად აღემატება გორსა და ქარელში კოოპერატივების რაოდენობას ერთად აღებულს. ჩვენ ერთ-ერთ წარმატებულ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივ "რაჯდენს" გაგაცნობთ, რომლის მაგალითზეც, შეგიძლიათ, გააკეთოთ დასკვნა, გაამართლა თუ არა სოფლის მეურნეობის კოოპერატიულმა მოდელმა, ნანახი ხომ ყოველთვის უფრო დამაჯერებელია, ვიდრე მოსმენილი. მამა არჩილ ლურსმანაშვილი:
-კოოპერატივი "რაჯდენი" წელიწადნახევრის წინ შეიქმნა, ექვსი წევრისგან. გავიარეთ კონსულტაციები სოფლის მეურნეობის ხაშურის სამსახურთან, დაიწერა პროექტი, რომლის შედეგად, მივიღეთ 25000 ლარის ოდენობის გრანტი,

რომლის პირობებშიც მოხდა ტრაქტორის, კარტოფილის თესლის და სხვადასხვა სასუქების შეძენა. ამჟამად ჩვენი კოოპერატივი 11 ჰა მიწის ნაკვეთს ფლობს, სადაც რამდენიმე სახის მარცვლეული კულტურა, ასევე კარტოფილი, კიტრი მოგვეყავს, ხდება რეალიზაცია ხაშურის ბაზარზე. ველოდებით დახლოებით 20 ტონა შვრიას და 40 ტონა კარტოფილს. ეტაპობრივად ვასაქმებთ მუშახელს. ძალიან კარგი ხელშეწყობის პროგრამებია, როგორც სახელმწიფოს, ასევე ევროპული არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან, რაც დაინტერესებულ მოსახლეობას საშუალებას აძლევს, შრომა უფრო ეფექტური და მიზანმიმართული გახადოს. არასამთავრობო ორგანიზაცია "მერსი ქორფისი" წარმომადგენელმა



(რომლის პროექტის ფარგლებშიც მოხდა გასულ წელს "რაჯდენი"-სთვის გრანტის გამოყოფა), კოოპერატივი "რაჯდენი" დაასახელა მაგალითად, თუ როგორ შეიძლება, იყო ნოვატორი და აკეთო საქმე, რომელიც ორმაგ სარგებელზეა გათვლილი.

თ. ჯავახიშვილი

სპორტი

„უღელტეხილმა“

უღელტეხილი გადაიარა

ამ დღეებში, საქართველოს რკინიგზელთა პროფესიული კავშირის და მისი თავმჯდომარის ზურაბ ნასარაიას ორგანიზებით, რკინიგზის პროფკავშირის 110 წლის იუბილესთან დაკავშირებით, თბილისში, გაიმართა საქართველოს ჩემპიონატის რესპუბლიკური ტურნირი მინი-ფეხბურთში რკინიგზის სამსახურების გუნდებს შორის.

ტურნირში მონაწილეობა მიიღო რეგიონალურ ტურნირში გამარჯვებულმა, საქართველოს რკინიგზის უღელტეხილის სალიანდაგო სამმართველოს გუნდმა „უღელტეხილი“, რომელიც ძირითადად, ხაშურელი რკინიგზელი ფეხბურთელებით იყო დაკომპლექტებული.

ამ გუნდმა, რომელიც ჩამოყალიბდა უღელტეხილის სალიანდაგო სამმართველოს ხელმძღვანელების დიდი თანადგომით, ამავე სამმართველოს ინჟინერმა იმედა მეტრეველმა, გასულ წელსაც პირველი ადგილი დაიკავა რეგიონულ ტურნირში, ხოლო რესპუბლიკურ ტურნირში მხოლოდ ნახევარფინალური მატჩი დათმო მძიმე ბრძოლაში და მესამე ადგილი, თასი, დიპლომი და ბრინჯაოს მედლები ჩამოიტანა ჩვენს ქალაქში.

წელსაც, მძიმე პაექრობაში, ტოლი არ დაუდო თბილისის ძლიერ გუნდებს, ზედიზედ დამარცხა ისინი და მხოლოდ ფინალში დამარცხდა თბილისელ კოლეგებთან და მეორე ადგილი დაიკავა. გუნდი დაჯილდოვდა თასით, დიპლომით და ვერცხლის მედლებით.

რამდენიმე ფეხბურთელი მიწვეულია საქართველოს რკინიგზელთა ნაკრებ გუნდში და მონაწილეობას მიიღებენ ტურნირში, სადაც საქართველოსთან ერთად იქნებიან სომხეთის, აზერბაიჯანის, თურქეთისა და ყაზახეთის ანალოგიურ ტურნირებში გამარჯვებული გუნდები.

გულოცავთ უღელტეხილის სალიანდაგო სამმართველოს ფეხბურთელებს ამ გამარჯვებას და წარმატებას გუსურვებთ მომავალშიც.

გუნდის შემადგენლობა კი ამ ტურნირში ასეთი იყო: იმედა მეტრეველი, ირაკლი იჩიტიძე, გიორგი კაკიაშვილი, გიორგი ბეროზაშვილი, გიორგი უგრეხელიძე, შალვა ნოზაძე, ანზორ მჭედლიძე, ბაჩო ბლიაძე, ბაქარ შათირიშვილი, ნიკა ივანიშვილი, ჯაბა ჩადუნელი (კაპიტანი), ჯემალ გრძელიშვილი, ლაშა ფცქიალაძე, ვალერი ტალახაძე, ბესიკ შერგელაშვილი, ნოდარ ჯუღელი, მანუჩარ ცუცქირიძე, გიორგი დიღებაშვილი, კონსტანტინე ლალუაშვილი.



სკოლისაკენ...

მას ბავშვობიდანვე პატარებთან ურთიერთობის საოცარი ალღო ჰქონდა, პროფესიად აქცია სკოლამდელი ასაკის ბავშვებზე ზრუნვა და აი, ოცდამეოთხრამეტე თაობას დაულოცა გზა სკოლისაკენ ხაშურის №10 საბავშვო ბაღის დირექტორმა, ქალბატონმა მარინა პანტელიძმა. სულ ახალგაზრდას ნდობა გამოუცხადეს და მიანდეს ეს უდიდესი საქმე - პატარების აღზრდა. მას შემდეგ დიდი ხანი გავიდა. ქალბატონმა მარინამ ცხრამუხის მოსახლეობის დიდი სიყვარული დაიმსახურა. საყვარელი საქმის ერთგულებამ მრავალი სიძნელე დააძლევინა, რისკის ფასად შეუნარჩუნა სოფლის მოსახლეობას

ბალი სრულად შეცვლილი დახვდათ. ადვილი არ არის ჩაიბარო ატირებული პატარა და დედა მშვიდად გაუშვა შინ. ამას ყოველთვის დიდი სიყვარულით ახერხებს ქალბატონი მარინა და მისი კოლექტივი, საყვარელი აღზრდელი ეკა მასწავლებელი, მუსიკის პედაგოგი მია ხმალაძე, ძიძა ნინო დეიდა და მზარეული ნონა დეიდა გემრიელი საუზმითა და სადილით. ბაღში მათი დაუღალავი შრომის შედეგია, რომ ნაბიჯ-ნაბიჯ, ცეკვა-თამაშით იზრდებიან და იმოსებიან ჩვენი პატარები ცოდნით და გამოცდილებით. მიიღეს მონაწილეობა რაიონულ ღონისძიებაში. წლის განმავლობაში ჩატარდა რამდენიმე ზეიმი, ყოველ გაზაფხულზე პატარებს ელოდებოდათ გასვლითი ექსკურსია.



პირველდანიშნულებითი განათლების კერა. შარშან, ახალ სასწავლო წელს, და ბაღს ჩაუტარდა კაპიტალური რემონტი. გაოცებულები დარჩნენ მშობლები, როცა

სიურპრიზს ჰპირდება საყვარელ პატარებს. და იწყება ყოველ დილა ცხრამუხის ბაღში „მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა... ღმერთი იყოს მათი მფარველი.“

ლაურეატის წოდებით დაბრუნდნენ

წარმატებით დაამთავრა ხაშურის თოჯინების თეატრმა საფესტივალო ტურნე მე-12 საერთაშორისო ფესტივალზე „ნარინჯისფერი ქობულეთი“. თეატრმა ლაურეატის წოდება მოიპოვა და დაჯილდოვდა გრანპრით. ფესტივალში მონაწილეობდა და ასევე ლაურეატის წოდება მოიპოვა როკ-ჯგუფმა „ორეველინ-ბენდმა“. გულოცავთ თეატრს და ბენდს ამ წარმატებას



ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი გიორგი გოგალაძე, მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.

E-mail Khashurismoambe 2015@gmail.com საბანკო რეკვიზიტები: სს „ლიბერთი ბანკის“ ხაშურის ფილიალი, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, ბანკის კოდი LBRTGE22, ანგარიში GE80LB0115114434590001.

ბ-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში. რედაქტორი რობერტ სუხიაშვილი.